შ.პ.ს. “კონსტუდიო”

ls

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N 59 / ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N 41სა და N59-ს შორის, ქუჩა კოსტავას N59, ქუჩა კოსტავას 41/ბოცვაძე (ყოფ.ადლერი) N2.
“ხუთვარსკვლავიანი საერთაშორისო სასტუმროს“ შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

განაცხადის ნომერი **AR1480670**

თბილისი 2017

საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N 59 / ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა, N 41სა და N59-ს შორის, ქუჩა კოსტავას N59, ქუჩა კოსტავას 41/ბოცვაძე (ყოფ.ადლერი) N2.
“ხუთვარსკვლავიანისაერთაშორისო სასტუმროს“ შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე. განაცხადის ნომერი AR1480670

წინა პირობები:

შპს „**გრანატი**“-ს დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია აღნიშნულ მისამართზე ასაშენებელი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო მასალები:

1. შპს **„ახალი საქქალაქმშენპროექტი“ -**ს მიერ 2016 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. კომპანია „REARDONSMITH ARCHITECTS” -ის არქიტექტურული ნაწილის სტადია პროექტის ნახაზების ელექტრონული (pdf) ფაილები.
3. შპს **“პროგრესი”**-ს მიერ ЛИРА-САПР 2013 პროგრამული კომპლექსით შესრულებული გაანგარიშების ელექტრონული ფაილი.
4. შპს **“პროგრესი”**-ს მიერ შესრულებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის სტადია პროექტის ნახაზების ელექტრონული (pdf) ფაილები;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული არსებული შენობის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა.

საერთო:

წარმოდგენილი საპროექტო შენობა 8 სართულიანია, 2 მიწისქვეშა სარდაფის სართულით. საპროექტო ახალი შენობა შედგება სეისმურად დამოუკიდებელი ბლოკებისგან, რომლებიც ამავე დროს, კონსტრუქციულად დამოუკიდებლად, უშუალოდ ემიჯნებიან ამავე სამშენებლო ტერიტორიაზე შენარჩუნებულ შენობას.

აღნიშნული არსებული შენობა ექვედებარება რეკონსტრუქცია-გამაგრებას და არქიტექტურულად განიხილება ერთიანი კომპლექსის ნაწილად.

სამშენებლო უბნისათვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

შენობების საძირკვლების ფუძედ მიღებულია ნახევრადკლდოვანი გრუნტები - ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები. ძირითადი ქანები წარმოდგენილია უმთავრესად ქვიშაქვებით, არგილითების თხელი შუაშრეებით - სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc = 16 მპა. საპროექტო გადაწყვეტებით ახალი საძირკვლები მიღებულია კომბინირებული სახით: როგორც მთლიანი საძირკვლის ფილა; ასევე ლენტურ-წერტილოვანი, ცალკემდგომი დაღრმავებებით.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ცვალებადი კვეთების სვეტების, კოჭების და გადახურვის ფილების კარკასული სივრცული სისტემით.

მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B25; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია A500c და A240c.

ფუძე-საძირკვლების და კარკასული სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება და გაანგარიშება განხორციელებულია ЛИРА-САПР 2013 ლიცენზირებული პროგრამული კომპლექსის გამოყენებით, სტანდარტული სპექტრული მეთოდით. გაანგარიშებები შესრულებულია დატვირთვების თანწყობებზე 8 ბალიანი მიწისძვრის გათვალისწინებით.

კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშებები და სტადია პროექტის კონსტრუქციების ნახაზები შესრულებულია პროფესიულ დონეზე. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია შეესაბამება და აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

ჩვენს მიერ დაფიქსირებული ცალკეული შენიშვნები და რეკომენდაციები ძირითადად შეეხო არსებულ სარეკონსტრუქციო შენობასთან ახალი დაფუძნების შესაბამისობას, რაც პროექტის ავტორება გაითვალისწინეს და ასახეს კორექტირებულ დოკუმენტაციაში.

<u>დასკვნა:</u>

წარმოდგენილი პროექტის (განაცხადის ნომერი AR1480670) კონსტრუქციულ დოკუმენტაციას რეკომენდაცია ეძლევა შემდგომი გამოყენებისათვის.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
შპს „კონსტუდიო“-ს დირექტორი, ტმდ

ხელმოწერა

თბილისი 08-05-2017